

საიდ. №69885/03

IR 1135876

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №12-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქართველოს მთავრობის მინისტრი“ არსებული საპეტიციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით:
ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), მ. ბ., დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდიგნობით
განიხილა კომპანიის „ეგით“ დიოდისერდიარ ნიილგანოშან მთუკადე
რესვენტარშაგ"-ის (EGIS GYÓGYSZERGYÁR Nyilvánosan Működő Részvénytársaság)
სააპელაციო საჩივარი (საიდ. №12-03/14), რომლითაც მოითხოვება სხივ
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქართველოს“
სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის
2013 წლის 15 ნოემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის
მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2279/03 ბრძანების ბათილად ცნობა და
საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „EGITENS“ (საიდ. 69885/03 IR 1135876)
დაცვის მინიჭება საქართველოს მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის
მიმართ: „ჰიპერტონიის სამკურნალოდ განკუთვნილი ფარმაცევტული პრეპარატები
ადამიანებისათვის“ (Human pharmaceutical preparations, namely drugs for hypertension) (მე-5
კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები,
წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 15 ნოემბრის №2279/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „EGITENS” უდერადობით და ვიზუალურად ჰგავს კომპანიის „NOVARTIS AG” სახელზე „საქართველოში“ მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებულ ნიშანს „EGATEN” (რეგ. №16000, რეგ. თარიღი: 13/06/2005), რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეყნების თანახმად უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „ეგიშ დიოდისერდიარ ნიილვანოშან მიუკედე რესვენტარშაგ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული ნიშნის აღნიშვნის საწყისი ნაწილი „EGI” არის პირდაპირი მითითება განმცხადებლის დასახელებაზე - „ეგიშ დიოდისერდიარ ნიილვანოშან მიუკედე რესვენტარშაგ” და არ მისცემს მომხმარებელს (მყიდველს) გააკეთოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქონელი, მარკირებული დასახელებით EGITENS-ი წარმოებულია კომპანია „NOVARTIS AG”-ის მიერ. აპელანტის პოზიციით, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე დარეგისტრირებულია სასაქონლო ნიშნების დიდი რაოდენობა, რომლებიც შეიცავენ საწყისს ელემენტს „EGI”. ამგვარად, განცხადებული აღნიშვნა ასევე იქნება აღიარებული მომხმარებლის მიერ, როგორც „ეგიშ”-ის კომპანიის ნიშნების სერიის გაგრძელება. აპელანტის მითითებით, ნიშნების აღრევის შესაძლებლობა კიდევ უფრო მცირდება განმცხადებლის მიერ საქონლის ჩამონათვალის შეზღუდვის გათვალისწინებით. სააპელაციო საჩივარს თან ერთვის თანხმობის წერილი, სადაც კომპანია „NOVARTIS AG” არ არის წინააღმდეგი სასაქონლო ნიშნის „EGITENS”, (IR 1135876) რეგისტრაციაზე საქართველოში კომპანია „ეგიშ დიოდისერდიარ ნიილვანოშან მიუკედე რესვენტარშაგ”-ის სახელზე საქონლის და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით მე-5-ე კლასის ყველა საქონლისათვის, მათ შორის შემდეგ საქონელზე: “human pharmaceutical preparations, namely drugs for hypertension”; „პიპერტონიის სამკურნალოდ განკუთვნილი

ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანისათვის”. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქართველოს სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2279/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „EGITENS” (საიდ. 69885/03 IR 1135876) დაცვის მინიჭებას საქართველოს მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „პიპერტონის სამკურნალოდ განკუთვნილი ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანებისათვის” (Human pharmaceutical preparations, namely drugs for hypertension”).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვემოთ მითხოვთ: თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „EGITENS” (საიდ. №69885/03 IR 1135876) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „EGATEN” (რეგ. №16000) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან ორივე ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. ამასთან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები იწყება იდენტურად „EG” და აქვთ მსგავსი დაბოლოება „TEN” – “TENS”. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში დამატებითი „S” ასოს არსებობა და ნიშანში განსხვავებული ბგერის „I” არსებობა ვერ სძენს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსია ფონეტიკურად, რადგან ორივე ნიშანი მთავრდება თანხმოვანზე, მას ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე

ემატება „o” ხმოვანი და განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომახრებლის მეირ გამოითქმის, როგორც „ეგიტენსი”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ეგატენი”. მსგავსია ასევე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი, რადგან მართალია, განცხადებული სასაქონლო ნიშნის მფლობელმა კომპანიამ შეზღუდა მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგზე: „პიპერტონის სამკურნალოდ განკუთვნილი ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანებისათვის”, მაგრამ აღნიშნული შეზღუდვის მიუხედავად, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი კვლავ მსგავსად რჩება, რადგან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული პრეპარატები”, რომელიც ასევე მოიცავს პიპერტონულ ფარმაცევტულ პრეპარატებსაც, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ამასთან, მართალია აპელანტმა წარმოადგინა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებასა და გამოყენებაზე, მაგრამ იმდენად მსგავსია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ვიზუალური და ფონეტიკური თვალსაზრისით, რომ აღნიშნული თანხმობის წერილი მხედველობაში ვერ იქნება მიღებული, რადგან სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას უპირველესად ხდება მომხმარებლთა ინტერესების დაცვა, რომ არ მოხდეს მსგავსი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით მათი შეცდომაში შეყვანა, შესაბამისად თანხმობის წერილი ვერ უზრუნველყოფს მომხმარებელთა ინტერესების დაცვას სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევისაგან ან მათი მწარმოებელი კომპანიების აღრევისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „EGITENS” (საიდ. №69885/03 IR 1135876) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტოან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

ð ð ð ð ð ð ð ð ð ð ð ð ð

კოლეგიის თავმჯდომარე:

o. გიქორაშვილი

შეკრები:

ე. ჭიჭინაძე

a. b.